# ხელშეკრულება N 13

ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქუჩა N23

ერთის მხრივ ,,შემსყიდველი" ა(ა)იპ ,,ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური" ს/კ 248433627 , მის: ბათუმი, დიდაჭარის ქუჩა N23, მისი დირექტორის სულხან ვერძაძის სახით და მეორეს მხრივ ,,მიმწოდებელი" შპს „სანდასუფთავება" ს/ნ – 245548153, წარმოდგენილი დირექტორის **სულხან ევგენიძის** სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მოთხოვნათა გათვალისწინებით (მე-2 მუხლის ,,ა" პუნქტი), **გამარტივებული შესყიდვის საშუალებით,** ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1..ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ,,მიმწოდებლი"–ს მიერ ,,შემსყიდველი"–ს ტერიტორიიდან სარისკო, სახიფათო (სამედიცინო) ნარჩენების გატანა და შემდგომ თერმული დამუშავების საამქროში/ ინსინერატორში/ უტილიზაცია. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ივნისის №294 დადგენილებისა და საქართველოს კანონის ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნათა, ასევე საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შ.პ.ს. სანდასუფთავებაზე 2009 წლის 22 ივნისს გაცემული № 00231 ნებართვის პირობების შესაბამისად. **CPVკოდი 90524200 (მომსახურებები საავადმყოფოების ნარჩენების უტილიზაციის სფეროში)**

## 2. მხარეთა ვალდებულებანი

1. **,,შემსყიდველი" ვალდებულია:**

ა) სამედიცინო ნარჩენები მოათავსოს სამედიცინო ნარჩენებისთვის განკუთვნილ სპეციალურ ურნაში, არ დაუშვას ურნის გარეთ მისი დაყრა და მიმდებარე ტერიტორიის დანაგვიანება;

ბ) გადაუხადოს „შემსრულებელს" ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური.

**2. ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:**

თვეში სამჯერ მოახდინოს დამკვეთის ტერიტორიიდან სამედიცინო სარისკო სახიფათო ნარჩენების გატანა და მათი უტილიზაცია .

## 3. მომსახურების საფასური და ანგარიშსწორების წესი

3.1. ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, თვეში ერთხელ.

3.2 მომსახურების ღირებულება თვის განმავლობაში განისაზღვრება ფიქსირებული **206,25** ლარით. ( 12 ობიექტი ამბულატორიების ჩამონათვალი თან ერთვის ხელშეკრულებას **დანართის №1 სახით**)

3.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2474 ლარს.

3.4 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს

3.5. ანგარიშსწორება მოხდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენისა (სასაქონლო ზედნადები / ანგარიშ-ფაქტურა) და მომსახურების მიღებაზე მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.
3.6 მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს აგრეთვე ყოველთვიურ მომსახურების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმოწერით დადასტურებული ამბულატორიის ექიმების ხელისმოწერები.
3.6 მომსახურება განხორციელდეს **2021 წლის დეკემბრის თვის 25 რიცხვამდე.**
**3.7 მხარეები ადასტურებენ რომ აღნიშნული მომსახურება ფაქტიურად დაიწყო 2021 წლის 3 იანვრიდან.**

**4.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის**
4.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;
4.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მოითხოვოს პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
4.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**5. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**
5.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
5.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
5.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
5.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე

**6. ფორსმაჟორი**

6.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით (ფორსმაჟორი). აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
6.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
6.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

**7. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**
7.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით;
7.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**
8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 24 თებერვლამდე.

**9 მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

**„შემსყიდველი":**
ა(ა)იპ „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური"
ს/ნ 248433627
მის: ბათუმი, დიდაჭარის ქუჩა N23
ელ.ფოსტა kurtskhalidze.v@mail.ru

Greening cleaning and communal utility service of Khelvachauri
Digitally signed by Greening cleaning and communal utility service of Khelvachauri
Date: 2021.02.02 09:14:51 +04'00'

**დირექტორი** **სულხან ვერძაძე**

**„მიმწოდებელი":**
შპს „სანდასუფთავება"
იურ. მის. – ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის 55
ფაქ. მის. – ქ. ბათუმი, ადლიის ქ. №167
ს/ნ – 245548153
მიმღები ბანკი:
სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი –BAGEGE22
ა/ა–GE57BG0000000524452400
ტელ. – 29-40-6

**დირექტორი** **ბესიკ ბარამიძე**

llc sandasufbaneba taveba
Подписано цифровой подписью: llc sandasufbaneba taveba
Дата: 2021.02.02 10:00:32 +04'00'

დანართი № 1

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი ამბულატორიების ჩამონათვალი

| № | ამბულატორია | მდებარეობა |
|---|---|---|
| 1 | ხელვაჩაური | სოფ. ხელვაჩაური |
| 2 | ხელვაჩაური | სოფელი ახალშენი (ტიპიური შენობა) |
| 3 | ორთაბათუმი | |
| 4 | სალიბაური | სოფელი სალიბაური |
| 5 | თხილნარი | სოფელი თხილნარი (ტიპიური შენობა) |
| 6 | აჭარისწყალი | სოფ.აჭარისწყალი სოფლის გამგეობა |
| 7 | აჭარისაღმართი | სოფელი აჭარისაღმართი (ტიპიური შენობა) |
| 8 | კირნათი | სოფელი მარადიდი (ტიპიური შენობა) |
| 9 | სარფი | სოფელი სარფი (ტიპიური შენობა) |
| 10 | ფერია | ყოფილი ახალშენის მეურნეობა |
| 11 | ახალისოფელი | სოფელი ახალისოფელის თსპ-ში |
| 12 | ჭარნალი | სოფელ ჭარნალის ადმინისტრაციული შენობა |

# ხელწერილი

ა(ა)იპ ,,ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური”-ს დირექტორის ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. ბათუმი

მე, ა(ა)იპ ,,ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური”-ს დირექტორი სულხან ვერძაძე ვადასტურებ, რომ **შპს ,,სანდასუთავებასთან“ ს/ნ 245548153** გამარტივებული შესყიდვის განხორციელებისას ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” 8-ე მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

Greening cleaning and communal utility service of Khelvachauri

Digitally signed by Greening cleaning and communal utility service of Khelvachauri
Date: 2021.02.02 09:15:17 +04'00'

დირექტორი სულხან ვერძაძე